საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დედისიმედი

დედისიმედი, XVI ს. II ნახ. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე, ქაიხოსრო II ჯაყელის მეუღლე, ბაგრატ მუხრანბატონის ასული.

1573, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, დებორას სახელით მონაზვნად შედგა, მაგრამ შვილის, ჯერ კიდევ ყმაწვილი და გამოუცდელი ყვარყვარეს ათაბაგად გახდომისთანავე ისევ დაუბრუნდა *პოლიტ.* ცხოვრებას და სამთავროს ფაქტობრივი მმართველი გახდა. 1576–79 სამცხეში შინაფეოდ. ომის დროს ხშირად პირადად ხელმძღვანელობდა სამხ. ოპერაციებს და დიპლ. მოლაპარაკებებს. ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის (1578) შემდეგ ისევ მესხეთში დარჩა, საკანაფის ციხეში გამაგრდა და იქიდან ხელმძღვანელობდა თურქთა წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას.

დ. მიჩნეულია „მესხური დავითნის ქრონიკის" ერთ-ერთ ავტორად, ცოცხალი ჩანს 1595.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ქრ. შარაშიძის *გამოც.*, თბ., 1961.

შ. ლომსაძე